საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი 4 იანვარი, 2017 წ.

ბსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის დაზუსტების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№17, 30.12.2016) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაზუსტდეს ბსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, კერძოდ:

1.1. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, ნაცვლად „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში“, განისაზღვროს შემდეგნაირად: „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში“;

1.2. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, ნაცვლად „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ევროპისმცოდნეობაში“, განისაზღვროს შემდეგნაირად: „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ევროპისმცოდნეობაში“;

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**